გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

განკარგულება № 16

2023 წლის 13 იანვარი
ქ. გორი

ქ. გორში, მეჯვრისხევის ბარაკი N2 დასახლებაში მცხოვრები ოჯახების (13 ოჯახი) წყალარინების ქსელზე მიერეთების საფასურის გადასახდელად ფინანსური დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შესულია ქ. გორში, მეჯვრისხევის ბარაკი N2 დასახლებაში მცხოვრები მოქალაქეების განცხადება, სადაც მოსახლეობა აღნიშნავს, რომ აქვთ წყალარინების სისტემის პრობლემა, არ აქვთ კანალიზაცია, რის გამოც გამდინარე წყალი მიედინება ეზოებში და იწვევს ანტისანიტარიას. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის" გორის სერვის ცენტრის 2022 წლის 28 ივლისის N12501/29/01 წერილში აღნიშნულია, რომ ქ. გორში, მეჯვრისხევის დასახლებისათვის წყალარინების ქსელის მოწყობისათვის საჭიროა ინდივიდუალურად მოხდეს წყალარინების ქსელზე ახალი მომხმარებლების მიერთება. წყალარინების სისტემაზე მომხმარებლის მიერთების საფასური შეადგენს 800 ლარს. ხოლო აღრიცხვის კვანძის მოწყობის საფასური - 150 ლარს. აღნიშნულ დასახლებაში ცხოვრობს 13 ოჯახი, რომლებსაც წყალარინების სისტემის არარსებობა მძიმე საყოფაცხოვრებო პირობებს უქმნის. მაცხოვრებელთა ნაწილი რეგისტრირებულია საოციალურად დაუცველ მონაცემთა ბაზაში და ფინანსური პრობლემების გამო ვერ ახერხებს ქსელზე მიერთების საფასურის გადახდას. მოსახლეობის მაღალი საჯარო ინტერესიდან გამომდინარე, გორის მუნიციპალიტეტის მერია და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო მითითებულ ფაქტებს ანგარიშგასაწევ სოციალურ/სამართლებრივ გარემოებად თვლის და მიზანშეწონილად მიაჩნია დამტკიცდეს პროგრამა, რომლის მიხედვითაც განხორციელდება შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის" გორის სერვის ცენტრის 2022 წლის 28 ივლისის N12501/29/01 წერილის და წმინდაწყლის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ქ. გორში, მეჯვრისხევის ბარაკი N2 დასახლებაში მცხოვრები 13 ოჯახის დახმარება თანხით: თითოეული პირისთვის 950 ლარით, სულ - 12350 ლარის ოდენობით.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, მე-19 მუხლის „ბ" ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

დანართი №1

ქ. გორში მეჯვრისხევის ბარაკი N2 დასახლებაში მცხოვრები ოჯახების წყალარინების ქსელზე მიერთების ფინანსური დახმარების პროგრამა

მუხლი 1. პროგრამის მიზანი

1.1 ამ პროგრამის მიზანია ,,სოციალური დახმარების შესახებ" საქართველოს კანონის 24-ე მუხლის გათვალისწინებით, ადგილობრივი თვითმმართველობის მხარდაჭერა და ქ. გორში, მეჯვისხევის ბარაკი N2 დასახლებაში მცხოვრები ოჯახებისათვის წყალარინების ქსელის მოწყობის უზრუნველსაყოფად თითოეულ ოჯახზე 950 (ცხრაას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით დახმარების გაცემა.

1.2. პროგრამით დაკმაყოფილდებიან ქ. გორში, მეჯვრისხევის ბარაკი N2 დასახლებაში მცხოვრები ოჯახები, რომლებსაც არ აქვთ წყალარინების ქსელზე ახალი მომხმარებლის მიერთების და აღრიცხვის კვანძის მოწყობის საფასურის გადახდის შესაძლებლობა.

მუხლი 2. პროგრამის სახე და ბენეფიციართა განსაზღვრა

2.1 პროგრამის სახეა ფულადი სოციალური დახმარება;

2.2 პროგრამაში ბენეფიციარები არიან ქ. გორში, მეჯვრისხევის ბარაკი N2 დასახლებაში მცხოვრები 13 ოჯახი, რომლებსაც არ აქვთ წყალარინების ქსელზე ახალი მომხმარებლის მიერთების და აღრიცხვის კვანძის მოწყობის საფასურის გადახდის შესაძლებლობა. ბენეფიციარების იდენტიფიცირება და დაფინანსება ხორციელდება წმინდაწყლის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.

მუხლი 3. პროგრამისათვის საჭირო რესურსები და პროგრამის ბიუჯეტი

3.1პროგრამის განხორციელებისათვის გორის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გასათვალისწინებელი ხარჯების მაქსიმალური მოცულობაა **12350 (თორმეტი ათას სამას ორმოცდაათი ლარი)** ლარი.

3.2 წარმოდგენილი ფინანსური დახმარება მოიცავს ერთჯერად 950 (ხრაას ორმოცდაათი) ლარს თითოეულ ბენეფიციარზე.

3.3 პროგრამის დაფინანსების წყაროა გორის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი (პროგრამული კოდი 02 03 04)

მუხლი 4. პროგრამის განხორციელების ადგილი და ღონისძიებები

პროგრამით გათვალისწინებული ფინანსური დახმარება განხორციელდება საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ანგარიშზე გორის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ თანხის ჩარიცხვის გზით, უნაღდო ანგარიშსწორებით მეშვეობით.

მუხლი 5. პროგრამის ხანგრძლიობა

პროგრამა დაიწყება 2023 წლის იანვარში და დასრულდება 2023 წლის ბოლომდე.

1. დამტკიცდეს ქ. გორში მეჯვრისხევის ბარაკი N2 დასახლებაში მცხოვრები მოსახლეობის (13 ოჯახი) წყალარინების ქსელზე მიერთების მოწყობის საფასურის გადასახდელად ფინანსური დახმარების პროგრამა დანართი №1-ის შესაბამისად;

2. დამტკიცებულმა პროგრამამ საერთო ბიუჯეტით შეადგინოს 12350 (თორმეტი ათას სამას ორმოცდაათი ლარი) ლარი, რომელიც დაფინანსდება გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან (ორგანიზაციული კოდი 02 03 04);

3. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30)

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე